# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-უქმეების შემდეგაც.— შაბათი, 11 მარტი 1900 წ. № 1068.

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

რედაქცია იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.
ტელეფონი № 372.



## „მ ო ა მ ბ ე“ 1900 წ. „ცნობის ფურცელი“

| (წელიწადი მეშვიდე) | (წელიწადი მეხუთე) |
|---|---|
| გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში. | გამოვა ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც. |
| ფასი ჟურნალისა გაგზავნით: | გაზეთის ფასი გაგზავნით: |
| 1 წლით 6 თვით 3 თვით | 1 წლით 6 თვით 3 თვით 1 თვით |
| 10 მანეთი 6 მან. 4 მან. | 6 მანეთი 3 მ. 50 კ. 2 მანეთი 75 კაპ |
| სამზღვარ გარედ წლიურად 13 მან. | სამზღვარ გარედ წლიურად 7 მანეთი. |

წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:

| | |
|---|---|
| პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ. | პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ. |

ვინც „მოამბე“-ს ერთისწლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა გამოწერის დღიდან

წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი

| | |
|---|---|
| ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება, სხვათა შორის, შინაური და უცხოეთის მიმოხილვა. | გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბავი) და სხვ. |

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე—5 კ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ღირება.
ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.

## სახალხო სეირნობა
### საქველმოქმედო ბაზრითურთ

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» სასარგებლოდ განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.
(ნ. 0—5)

წარსული წლების ჟურნალი „მოამბე“ გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—შვიდ-შვიდ მანეთად და 1896, 1897 და 1898 წ. წ.—ხუთ-ხუთ მანეთად. ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნ. «მოამბის» ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. ჟურნ. „მოამბის“ ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала „Моамбе“.

ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ა. ს. როინაშვილის მიერ ნაანდერძევი

## ფოტოგრაფია

გადატანილ იქმნა ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში.
(ნ. 0—25)


### მთავრობის განკარგულებანი

რადგანაც უეზდის ოლქის ნაწილებში გაუქმებულ იქმნენ: თანამდებობანი თარჯიმნებისა, ამიტომ სამსახურიდან დათხოვნილ იქმნენ: ჰოსხოვის ნაწილის თარჯიმანი კოლეჟ. სეკრ. სავანელი და გელისისა—ჯაფარიძე.

უეზდის სამაზრო მმართველობის მდივნის თანამდებობის აღმასრულებელი კოლეჟ. ასესორი კარგარეთელი დამტკიცებულ იქმნა თანამდებობაზე 20 იანვრიდან.

## ახალი ამბავი

✦ მომავალ 1901 წელს, მაისში, უნდა მოხდეს საქალაქო არჩევნები ხმოსნებისა. საქალაქო დებულებით, ქალაქის გამგეობას ყოველთვის მზად უნდა ჰქონდეს სიები ამრჩეველთა და ყოველი ცვლილება მათი უნდა შეტანილ იქმნეს სიებში. ქალაქის გამგეობას ამნაირი სიები არა აქვს. როდესაც არჩევნების დრო მოვა, მაშინ შეუდგება ხოლმე გამგეობა ფაცა-ფუცით სიების შედგენას, და ამისათვის მოხდება ხოლმე, რომ სიებში მკვდრების სახელებიც კია, როდესაც მათი მემკვიდრენი ცოცხალნი არიან და უფლებაცა აქვთ არჩევნებში მონაწილეობას ასე უწესოთ სიების შედგენამ წარსულ არჩევნებზე ბევრს დააკარგვინა ხმა. ამგვარივე არა სასურველ უწესოების ასაცილებლად, საჭიროა, ქალაქის გამგეობა ახლავე შეუდგეს სიების შედგენას და შეცდომათა გასწორებას. კარგი იქნება ეს საქმე მიენდოს გამგეობის წევრს თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს, რომელსაც შეუძლიან სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის დახმარებით გამოიკვლიოს ყოველივე სიაში შეტანილი პირის არსებობა.

✦ რადგანაც ბოლოს წლებში შორაპნის მაზრიდან მარგანეცის გაზიდვამ იმატა და ჭიათურის რკინის გზის ვაგონები საკმარისი აღარ არის, მარგანეცის მწარმოებელთა კრების საბჭოს შუამდგომლობა აღუძრავს სათანადო უწყების წინაშე ვაგონების მომატების შესახებ. გზათა სამინისტროს ეს შუამდგომლობა შეუწყნარებია და ხარჯთ-აღრიცხვაში შეუტანია კრედიტი ჭიათურის რკინის გზისთვის საკუთრად 6 ორთქლით-მატარებლებისა, 55 სავაჭრო ვაგონებისა, 2 ცისტერნისა და 3 მეორე კლასის ვაგონის შესაძენად.

✦ გზათა სამინისტროს წარუდგინა პროექტი წესდებულებისა, თუ როგორ უნდა განაწილდეს ვაგონები ჭიათურის რკინის გზისა მარგანეცის მწარმოებელთა შორის. განზრახულია დაარსება საგანგებო კომიტეტისა, რომელსაც დაევალება ეს განაწილება.

✦ ტფილისის სავაჭრო და სამანუფაქტურო კომიტეტს შეუდგენია პროექტი ტფილისში სავაჭრო სკოლის დაარსების შესახებ, რომელშიაც მოამზადებენ დახლიდართ და კონტორებში მსახურთ. სწავლა სკოლაში სამს წელიწადს გასტანს. სკოლაში გარდა საზოგადო საგნებისა ასწავლიან: ბუჰგალტერიას, კომმერციას, სავაჭრო-სამრეწველო კანონმდებლობას, საკომერციო გეოგრაფიას და სხვას. ვინც სკოლას დაასრულებს და შემდეგ 5 წელიწადს იმსახურებს სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებაში, მას მიეცემა მოქალაქის წოდება. სწავლის ფასი განზრახულია 60 მან. წელიწადში. ეს პროექტი წარედგინება დასამტკიცებლად ვაჭართა კრებას 26 მარტს.

✦ ტფილისის ახალი საკომერციო სასწავლებლის დირექტორი ფიშერი პეტერბურგში გაემგზავრა სასწავლებლის პროგრამმის დამტკიცების ასაჩქარებლად. მოსწავლეთა რიცხვი 120-მდეა, თუმცა ადგილი სულ ოთხმოცი მოწაფისათვის არის.

✦ 12 მარტს ტფილისის მეათე ნაწილში გაიხსნება ორი ახალი საეკლესიო—სამრევლო სკოლა, ერთი— ვაჟთათვის, მეორე—ქალთათვის.

✦ დღეს, 11 მარტს, „ტფილისის სობრანიეს“ დარბაზში კნ. ქ. ფ. გურამიშვილისა გამართავს კონცერტს. ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს ამ მომღერალ ქალს, რომელსაც არა ერთხელ დაუმშვენებია ჩვენი საქველმოქმედო კონცერტები თავის მონაწილეობით. კნ. გურამიშვილისას მშვენიერი ხმა აქვს, ეგრედ წოდებული კოლორატურის სოპრანო, მეტად სასიამოვნო, კარგად შემუშავებული და მძლავრი. პირველ-დაწყებითი მუსიკალური განათლება მან მიიღო ვენაში, ვენის კონსერვატორიის დირექტორთან და პროფესსორთან ფუქსთან; შემდეგ-კი, ორის წლის განმავლო-

ბაში, ის იწრთვნებოდა პარიზში სიმღერის შესანიშნავ მასწავლებელთან მარკეზისთან და გამოჩენილ მომღერალ ქალთან დეზირეარტოსთან. სწავლის დასრულების შემდეგ კნ. გურამიშვილისამ მონაწილეობა მიიღო, სხვათა შორის, პარიზში ერთ კონცერტში და დამსწრეთ ძალიან მოეწონათ მისი ხიმღერა და ხმა. სხვათა შორის გაზ. „ჟილ ბლაზ“-ში დაბეჭდილი იყო რეცენზია, რომლის ავტორი მეტად აქებდა კნ. გურამიშვილის ხმას. დღევანდელს კონცერტში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე ცნობილნი ი. მ. მატკოვსკი და მ. ვ. სერბულოვი. კონცერტის პროგრამმაც საინტერესოა. აი ეს პროგრამმაც:

განყოფილება პირველი: 1) სონატა a-moll (ნაწილი 1-ლი) ფორტეპიანოსთვის და სკრიპკისათვის, თხზ. რუბინშტეინისა—ასრულებენ ი. მ. მატკოვსკი და მ. ვ. სერბულოვი. 2) არია გუნოს ოპერიდან «ფილიმონ და ბავკიდა»—ასრულებს კნ. გ. ფ. გურამიშვილისა. 3) „Fantaesie-caprice“, ვიეტანისა—ასრულებს მ. ვ. სერბულოვი 4) „La Calandrina», ჟომელლისა—ასრულებს გ. ფ. გურამიშვილისა. განყოფილება მეორე: 1) არია დელიბას ოპერიდან «ლაკმე»—ასრულებს კნ. გ. ფ. გურამიშვილისა. 2 ა) ნოკტიურნი და ბ) სერენადა, შუბერტისა და ლისტისა—ასრულებს ი. მ. მატკოვსკი. 3) ა) „meine Liebe ist grün», ბრამსისა და ბ) «solveygs Lied“, გრიგისა—ასრულებს კნ. გ. ფ. გურამიშვილისა. 4) «Berceuse», გოდარისა და ბ) „L' abeill, შუბერტისა—ასრულებს მ. ვ. სერბულოვი. 5) ვალსი, თხზ. დელ აქვასი—ასრულებს კნ. გ. ფ. გურამიშვილისა.

✦ უწმ. სინოდის ობერ-პროკურორს დაუმტკიცებია ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდალურ კონტორაში და საქართველოს ეგზარხოსის კანცელარიაში მსახურთა **შემნახველ-გამსესხებელი კასსის წესდება.**

✦ „კავკაზ“-ში ვკითხულობთ: „ჩვენ გადმოგვცეს, რომ ქალაქ **ოზურგეთის** მოურავის თავად თავდგირიძის **საჩივარი**, რომელიც გამოიწვია ქ. ოზურგეთის შუამდგომლობამ ვაჟთა პროგიმნაზიის დაარსების შესახებ, სენატმა უყურადღებოდ დასტოვა.

✦ ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდა ეჩმიაძინიდან სომეხთა სინოდის პროკურორი დ. ს. ს. **ყანჩელი.**

✦ ტფილისის გუბერნიის მმართველმა გაუგზავნა **ბავშვთა სამზრუნველო საზოგადოებას** გამგეობას ათი მოწმობა, რომელიც დაერიგება ქალაქის ნაწილების მზრუნველთ. მოწმობა ნებას აძლევს ხსენებულ მზრუნველთ თავისუფლად ათვალიერონ საავადმყოფო-სამრეწველო დაწესებულებანი და სახელოსნოები, რათა თვალ-ყური ადევნონ მოწაფეთა ყოფა-ცხოვრებასა და მდგომარეობას და საჭიროების მიხედვით შეადგინონ პროტოკოლები.

✦ ამ დღეებში სამიწად-მოქმედო სამინისტროში იწყებს მუშაობას საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა შემუშავება პროექტისა **სამეურნეო სწავლის გავრცელებისა ქალთა შორის.** კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა მიწადმოქმედების დეპარტამენტის დირექტორი ბ. ხომიაკოვი, წევრებად-წარმომადგენელნი წხვა და სხვა სამინისტროებისა, რამდენიმე პროფესსორი, სამეურნეო სასწავლებელთ ზოგიერთი დირექტორები და სხვანი.

✦ გზათა სამინისტროს წინადადება მიუცია რკინის გზების მმართველობათათვის—სასტიკად თვალყური ადევნონ, რომ კონდუქტორებმა და რკინის გზის სხვა მოხელეებმა **დახმარება** აღმოუჩინონ ხოლმე ყოველთვის **მგზავრთ** ვაგონებში ადგილების მოძებნის დროს.

✦ რადგანაც ბოლო წლებში ძალიან იმატა მგზავრთა მიმოსვლამ რკინის გზებით, გზათა სამინისტროს შეუკვეთნია საზღვარ-გარეთ მძლავრი ჩქარა მავალი **ორთქლის მატარებლები** სახაზინო რკინის გზებისათვის.

✦ ტფილისის საგუბერნიო ვეტერინარი მ. **მაკაროვი** წავიდა ქ. გორში ქალაქის საყასბოს დაარსების საქმის გამო.

✦ ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელმა მოსთხოვა პოლიციის ბოქაულებს შეადგინონ დაწვრილებითი სიები **მცირე-წლოვან მათხოვართა**; აღინიშნონ ამათი ვინაობა, ეროვნება, წლოვანობა, სამშობლო და სხვ. ეს სია საჭიროა «ყმაწვილთა მზრუნველ საზოგადოებისათვის“, რომელსაც ჰსურს შემწეობა აღმოუჩინოს ღატაკ ბავშვებს.

✦ ხმოსანმა ვესელოვზოროვმა გაუგზავნა ქალაქის მოურავს განცხადება, რომელშიაც სთხოვს მოახსენოს საბჭოს, რომ მას არა ჰსურს დარჩეს წევრად იმ კომისიისა, რომელიც არჩეულია დასაფასებელ **ხარჯის** საპატიებლად.

✦ გუშინწინ მასწავლებლის მეუღლეს ევსენია იანჩოვისას გამოუცხადებია პოლიციისათვის, რომ ჩემი შვილი ნიკოლოოზი დაიკარგაო.

✦ 8 მარტს, ტფილისში **პოლიციას შეუპყრია** ციმბირიდან გამოქცეული კრემენჩუგის მოქალაქე ლინენტალი. ეს უკვე 9 წელიწადია თურმე, რაც გამოქცეულა ციმბირიდან და ამ დროს განმავლობაში რუსეთში იმალებოდა. ტფილისში ის ამ დღეებში ჩამოსულა კავკავიდან.

✦ ოლგის ქუჩაზე გაბაშვილის სახლში მცხოვრებ გორნიევის მცირე-წლოვანი შვილი ნიკოლოზი გუშინ-წინ სახლიდან წასულა და აღარსად სჩანს.

✦ ტფილისის მესამე ნაწილში მყოფი სახლები გასინჯულ იქმნა ტეხნიკების მიერ და აღმოჩნდა, რომ 6 სახლს სრულიად გადაკეთება უნდა, ერთს კი დანგრევა. ამ უკანასკნელ **სახლში** მცხოვრებნი პოლიციამ დაითხოვა.

✦ ტფილისის მცხოვრები დავით ასლამაზოვი გუშინ მტკვარში გადავარდა, მაგრამ გადაარჩინეს.

---

# დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

9 მარტი

**პეტერბურგი**. 8 მარტს გარეშე საქმეთა მინისტრს სადღესასწაულო სადილი ჰქონდა გამართული. სადილს კეთილ ინებეს და დაესწრნენ მათი უდიდებულესობანი.

9 მარტს მათ უდიდებულესობათ დაათვალიერეს პავლოვის სამხედრო სასწავლებელი.

**კანნი**. დიდი მთავრები კირილე და ბორის ვლადიმირის ძენი მოვიდნენ აქ ვენიდან.

დიდი მთავრები ნიკოლოზ და სერგი მიხეილის ძენი მოვიდნენ აქ.

**ვაშინგტონი.** შეერთებულ შტატების გემი „Whecling“-ი მიდის ტაკუსკენ, რათა დაიცვას ჩინელებისაგან ყველა ისინი, ვინც კავკასიის მოდგმას ეკუთვნიან. შეერთებული შტატები ამ შემთხვევაში ჰმოქმედებენ მარტონი და არა როგორც მონაწილენი საერთაშორისო დემონსტრაციისა.

**ლონდონი.** რობერტსის დეპეშა ბლუმფონტენიდან 8 მარტს იტყობინება, რომ, რადგანაც დიდძალმა ბურგერებმა განაცხადეს სურვილი დამორჩილებისა იმ პირობებით, რომელიც აღნიშნულია პროკლამაციაში, მან გაგზავნა პატარ-პატარა რაზმები სხვა-და-სხვა მხარეს, რათა ბურგერებს ჩამოართვას იარაღი. შემდეგ რობერტსი იტყობინება, რომ კლემენცის ბრიგადა ფილიპოლისით და ფორსმიტით მიდის ბლუმფონტენისა და ლობატსისაკენ. ძლიერი რაზმი ბურებისა, სპიმანის წინამძღოლობით მოდის მეფკინგიდან ლობატსისაკენ. გუშინ მოკლულ იქმნა ყუმბარით პორუჩიკი ტაილერი, რომელიც ბულლერის ჯარში იყო.

**ლორენცო-მარკეზი** გაზეთ „Diggers News“-ს ატყობინებენ პრეტორიიდან 4 მარტს: „2 მარტს მოხდა ბრძოლა ტრანსვაალის დასავლეთ საზღვარზე ლობატსისთან. ინგლისელები საჩქაროთ გაიქცნენ რამუტსის ბანაკისაკენ. ბურებს ვერცერთი ვერ მოუკლეს; მათ კი ოთხი ინგლისელი წაიყვანეს ტყვედ და წაართვეს 15 ყუთი ყუმბარით, თოფები და ცხენები“.

**კოპენჰაგენი**. ლანდსტინგი. ბიუჯეტის განხილვაა. სახედრო მინისტრმა განაცხადა, რომ პოლიტიკურ მდგომარეობის გამო ის ურჩევს ერის წარმომადგენელთ დაამტკიცონ სამხედრო ბიუჯეტი.

**ლონდონი**. „რეიტერის სააგენტოს“ ცნობებით, ლობატსტთან მომხდარ ბრძოლაში, 2 მარტს, ბოლოს ინგლისელებმა მაინც გაიმარჯვეს და უკუ აქციეს ბურები; უკანასკნელთ ბევრი ჰყავთ მოკლულ-დაჭრილი.

**პეტერბურგი**. გუშინ „სამხედრო სობრანიის“ დარბაზში, ათასზე მეტის კაცის თანადასწრებით, უმთავრესის შტაბის პოლკოვნიკმა არტამონოვმა წაიკითხა მეტად საყურადღებო ლექცია „ბურები და ინგლისი“, რომელიც დაასურათა რუკებით და ბუნდოვანის სურათებით. ლექტორმა, რომელიც იცნობს აფრიკას და ბურებს, აღწერა-რა ქვეყანა და უკანასკნელ დრომდე მომხდარი შეტაკებანი, დაასკვნა, რომ ბურებს შეუძლიათ, თუ მივიღებთ სახეში მათის ჯარის ახლანდელს რაოდენობას და სიმაგრეების აგების ცოდნას, დაიცვან თავიანთი დამოუკიდებლობა ინგლისელების თავდასხმისაგან, თუ ღმერთი შეარჩენს მათ იმავე გულადობას, როგორიც დღემდე გამოიჩინესო. დამსწრეთ დიდი მადლობა გადუხადეს ლექტორს.

10 მარტი

**პეტერბურგი.** უმაღლესის ბრძანებით, შინაგან საქმეთა სამინის-

ტროს საბჭოს წევრს ტაინ. სოვ. ე. ვ. ბოგდანოვიჩს ებოძა გენერალ-მაიორობა და დატოვებულ იქმნა იმავე თანამდებობაზე.

**კრონშტადტი.** გენერალი გატეკრი დამარცხებულ იქმნა ბურებისაგან ბეტულის ქვემოთ. ინგლისელები უკუქცეულ იქმნენ დიდის ზარალით და მრავალ ინგლისელი ტყვედ იქმნა წაყვანილი.

**კრონშტადტი.** ბურებმა ოლივეს უფროსობით ჩაიტყუილეს ბრძოლაში გატეკრის ჯარი ბეტულის მიდამოებში; ინგლისელები დამარცხდნენ და ძლიერ ბევრი დაჰკარგეს. ბურებმა ტყვედ წაიყვანეს მრავალიი ინგლისელი. ბურები დიდძალ ჯარს აგროვებენ აქ. ვეშინ აქ მოვიდა მხედართმთავარი დევეტი.

**პრეტორია.** პრეზიდენტი კრიუგერი დაბრუნდა კვირას ორანჟეს რესპუბლიკიდან.

გატერონეს ქვემოთ მცირე ბრძოლა მოხდა,

**პარიჟი.** პრეზიდენტი ლუბე წავიდა მონტელიმარში დედის სანახავად.

**სოფია.** საზღვარ გარეთ გავრცელებული ხმა, რომ ახლო ხანში რუსეთისა და ბულგარიის შორის შეკრულია პირობა, რომლის ძალით ბულგარიამ გარდასცა რუსეთს 50-ს წლით ადგილი ბურგასის ნავთ სადგურში ნახშირისათვის საწყობების გასამართად, და რომ ვითომ ხელშეკრულობაში ჩართულია პირობანი, რომლებიც შეეხებიან მოულოდნელ შემთხვევებს „ბოლგარიის სააგენტო“ აღიარებს სრულს სიცრუეთ და მოკლებულს ყოველ საფუძველს.

**ლონდონი.** საღამოს გაზეთები იტყობინებიან დურბანიდან 8 მარტს, რომ მზვერავის თქმით, ბიგარსბერგთან მდებარე პოზიცია მთლად ნაცრად იქმნა ქცეული ბურებისაგან. მათ მეტად ძლიერი პოზიცია უჭირავთ მთაზე, რომელიც დაჰყურებს პომროეს.

საღამოს გაზეთები იტყობინებიან, რომ სამშაბათს რობერტსმა გაუმართა წვეულობა გარეშე სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, რომლის შემდეგაც მიულოცა რომ მათ ასე მამაცურად აიტანეს ყოველი გაჭირვება და განაცხადა, იმედი, რომ მალე მას საშუალება ექმნება მიიწვიოს ისინი თავისთან პრეტორიაში.

**ჰააგა.** როგორც „რეიტერის სააგენტოს“ გაუგია, ნიდერლანდის მმართველობამ უპასუხა კრიუგერისა და შტეინის თხოვნის შესახებ მორიგებაზე შუამდგომლობისა, რომ შემდეგ ინგლისის მმართველობის მიერ ფორმალურ გამოცხადებისა, რომლითაც გამოირკვა შეუძლებლობა შუამავლობისა, მას, თვისდა სამწუხაროდ, არ შეუძლიან აღსრულება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკათა სურვილისა, მაგრამ მომავალშიაც მზად არის იგი მხარი მისცეს ყოველ სურვილს მიმართულს მშვიდობიანობის დასამყარებლად.

**ლონდონი.** „ტაიმს“-ს ატყობინებენ ბლუმფონტეინიდან 22 მარტს, რომ პრეზიდენტმა კრიუგერმა 21 მარტს გამოცემულ პროკლამაციაში განაცხადა, რომ ორანჟეს რესპუბლიკა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას შეუერთდაო. შტეინმა თავისის მხრივ გამოსცა პროკლამაცია, რომელშიაც აცხადებს, რომ ორანჟეს რესპუბლიკა დამოუკიდებლად რჩებაო.

„დეილი ნიუს“-ს სპრინგფონტეინიდგან ატყობინებენ 20 მარტს, რომ გატეკრი თავისი შტაბით აქ არისო.

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

# გამოსადეგი ცნობანი

## საკალენდრო ცნობები

**შაბათი,** 11 მარტი; ახალი სტილით 24 მარტი. წლის დასრულებამდე დარჩა 295 დღე. მთვარის მე-24 დღე. დიდი მარხვის მეოცე დღე. ხსენება წმ. სოფრომ იერუსალიმელისა, პატრიარქის ექვთიმესი, ნოვგოროდის არქიეპისკოპოზისა და მოწ. პიონისი.

**კვირა,** 12 მარტი; ახალი ტილით 25 მარტი. წლის დასრულებამდე დარჩა 294 დღე. მთვარის მე-25 დღე. დიდი მარხვის მე-21 დღე. ხსენება ღირსისა თეოფანესი და გრიგოლისა.

შემდეგი უქმი—25 მარტს—ხარება.

## ნიხრი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | | 1 | გ. | —10 | კ. |
| სუკი . . . . | | 1 | » | —15 | კ. |
| » ცხვრისა . | | » | » | —11 | კ. |
| » კამეჩისა. . | | » | » | — 5 | კ. |
| » ღორისა. . | | » | » | — 8 | კ. |
| » ღორის ზარკალი სალორეთი . | | 1 | » | —10 | კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს აის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარ. | 1 | გ. | 5 | კ. |
| » » | II | » | » | $3^1/_2$ | » |
| » » | III | » | » | 3 | » |
| იგივე თონისა | I | » | » | 5 | » |
| » » | II | » | » | 4 | » |
| » » | III | » | » | $3^1/_2$ | » |
| ლავაში ჯვ. მამ. | I | » | » | 6 | » |
| » » | II | » | » | 4 | » |

## ტფილისის ბაზრები:

გაიყიდა მეიდნებზე: კოკზალზე, ხორბალი საუკ. ფუთი. მ. კ. მ. კ.,

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხორბალი | 1 | 1 | 30 | 1 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — |
| ქერი . . . . . | 1 | — | 88 | —85 |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 70 | —— |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20 | —— |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | —— |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 60 | —— |
| კარტოფილი. . . . | 1 | — | 60 | —— |
| ხახვი . . . . . | 1 | — | 50 | —— |
| თივა . . . . . | 1 | — | 60 | —— |
| ბზე . . . . . . | 1 | — | 28 | —— |

შუშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შუშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 80 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ 8 მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი მუსაბმელი,—კამეჩი —მ. -მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., მუსაბმელი— მ.

## რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | | № 4—7 » 25 » | |
| № 1—8 » 50 » | | № 5—7 » — » | |
| № 2—8 » — » | | № 6—6 » 75 » | |
| № 3—7 » 50 » | | № 7—6 » 25 » | |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ. შაქარი იქვე ფუთი 5 მან 70 კ. „ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

## საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა,** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ჩუღურეთისა,** კორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის** [illegible] —იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი— ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) კორონცოვის ქუჩა, მექქსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

**სახალხო მატარებელი № 1** ბაქოდან ტფილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ.; ტფილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. დილ. ბათუმში მიდის 8 ს. 32 წ. სად.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ., ტფილისში მოდი საღამოს 6 ს. 28 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 7 ს. 32 წუთ., ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

**სახალხო მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ. დილ., ტფილისში მოდის საღამოს 8 ს. 35 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღ. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის.

**საფოსტო მატარებელი № 4** ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს. 05 წ. საღ., თბილისში მოდის 9. 45 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ., ბაქოში მიდის დილის 6 ს. 15 წ.

მატარებელი № 5 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 3 ს. 25 წ., ბორჯომში მიდის 8 ს. 23 წ. საღ.

მატარებელი № 6 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ., თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 5 ს. 02 წ., მეორე —დღეს 12 ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ., ფოთში მიდის—პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, მეორე—2 ს. 49 წ. დღ. და მესამე —9 ს. 49 წ. საღ.

**ფოთიდან** სამტრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი—ღამის 1 ს. 11 წ., მეორე—დილის 6 ს. 20 წ., მესამე—საღ. 9 ს. 48 წ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს

20 წ. ღამის, მეორე—8 ს. 42 წ. დილის, მესამე—ღამის 11 ს. 57 წ.

ფოთიდან რიონში გადის დილის 6 ს. 20 წ., რიონში ფოთიდან მიდის დილის 6 ს. 45 წ.

რიონიდგან ქუთაისში გადის შიდი მატარებელი: ღამის 3 ს. 55 წ., და 5 ს. 30 წ. დღის 1 ს. 30 და 4 ს. 50 წ., საღამოს 6 ს. 30 წ. დილის 8 ს. 45 წ. და 10 საათ.

# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს**, რომ მის თანადასწრებით, შუადღის 12 საათზე, 15 მარტს, გამგეობის შენობაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლით უნდა გაიცეს იჯარით აშენება სახლისა ავჭალის საქალაქო წყლის მილის გამგესათვის და აგრეთვე რემონტი ავჭალის სახლისა 5653 მანათისა. და 16 კაპეიკისა.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლია განიხილოს დაწვრილებით პირობები გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

(ნ. 3—1)

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

## გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | «—50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაზაზასი | «—10 |
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (პ. ყაზბეგიშვილი) | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: | |
| I ტომი | «—70 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| იგივე III ტომი | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | «—80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | «—60 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუე საბა-ორბელიანისა | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | «—20 |
| აივენგო ვოლტერ სკოტისა | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | «—15 |
| გაბრიელ ეპისკოპოსის ბიოგრაფია სურათით | «—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის გ. პეტრიაშვილისა | 1—50 |
| რძე მისივე | 1—50 |
| სიბრძე ბალავარისა | «—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | «—80 |
| დასტურ-ლამა | «—10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

საუკეთესოდ მოწყობილი

## სტამბა

წიგნების გამომც. ქართველთა ამხ—ბისა

იღებს ყოველგვარ

## სასტამბო საქმეებს

სტამბა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლში

## ისტორიული ნარკვევი

ანუ

**ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის**

შედგენილი

**ალექსანდრე ცქიტიშვილისაგან**

მოწონებულია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან

საშუალო სასწავლებლების ბიბლიოთეკებისათვის

ფასი 1 მ. 50 კაპ.

ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში.

დაიბეჭდა და იყიდება

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში

ახალი ქართული წიგნი

## სიტყვიერების თეორია

სალიტერატურო ნიმუშების კრებული ანუ ქრისტომატია

წიგნი შედგენილია

ალავერდის ეპისკოპოზის კირიონისა და გრ. ყიფშიძის-მიერ

ფასი 1 მანეთი

ვინც ათს ცალზე ნაკლებს არ იყიდის, წიგნი დაეთმობა 80 კ.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფოს-ტალიებით შეუძლიანთ დაიბარონ ამ ადრესით: Тифлисъ. Книжный магазинъ Общества грамотности.

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | | | |
|---|---|---|---|
| ნაწილი | I | საერო კრება | 60 კ. |
| | | იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი | II | სამშობლოს განსაცდელი | 60 „ |
| | | იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი | III | წელიწადი პირველი რესპუბლიკისა | 1 მ. 20 „ |
| და ნაწილი | IV | მამულიშვილი ბონაპარტი | |
| | | იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |

ბრძყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი . . . . . 30 „

ივდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა . . . . . 30 „

პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება

გამომც. ზ. გუნია.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Марта, 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.